სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/03/2024

MES 8 24 0000258066

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვირეულის ლოგოს შექმნასთან დაკავშირებით, კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვირეულის ლოგოს შექმნასთან დაკავშირებით შიქმნას საკონკურსო ჟიური და გამოცხადდეს კონკურსი.

2. საკონკურსო ჟიური:

ზურაბ გუდავაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ჟიურის თავმჯდომარე);

ეკატერინე პაპავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის თანაშემწე (ჟიურის მდივანი);

მერაბ გუჯაბიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

თენგიზ გოგოლაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი;

გოჩა მიქიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის მოადგილე;

ქეთევან ქოქრაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

ზაზა მარუაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

3. კონკურსის პირობები:

ა) კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა;

ბ) კონკურსი ღია და ანონიმურია და მასში მონაწილეობა უფასოა;

გ) კონკურსში მონაწილეების მიერ თითოეულ საკონკურსო მასალას, რომელიც უნდა წარადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროექტის იდენტიფიცირებისა და ავტორთა ანონიმურობის დაცვის მიზნით, ენიჭება სარეგისტრაციო კოდი. შესაბამისად, საკონკურსო პროექტების ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ვინაობა ცნობილი გახდება ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დალუქული კონვერტების გახსნისას;

დ) კონკურსის პირობების (წარსადგენი მასალის შემადგენლობა და ფორმატი, პროექტის ჩაბარების ვადები და ა.შ.) დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის სარეგისტრაციო კოდის გარეშე, კონკურსზე წარდგენილი პროექტი არ განიხილება;

ე) კონკურსი ჩაითვლება შემდგარად თუ წარმოდგენილი იქნება წინამდებარე პროგრამის და პირობების მოთხოვნების შესაბამისი საკონკურსო პროექტი.

ვ) საკონკურსო მასალის წარდგენა და საკონკურსო საქმიანობა წარიმართება ქართულად.

ზ) კონკურსის პირობების გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე: WWW.GTU.GE; https://gtu.ge/arch/ - უნივერსიტეტის facebook გვერდზე.

4. კონკურსის კალენდარი:

ა) კონკურსი გამოცხადდება 2024 წლის 02 მარტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge და უნივერსიტეტის facebook გვერდზე;

ბ) საკონკურსო პირობა ხელმისაწვდომია 2024 წლის 02 მარტიდან;

გ) საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადაა 2024 წლის 20 მარტი, 12.00-18.00 საათამდე. დაგვიანებული პროექტები კონკურსზე არ დაიშვება;

დ) საკონკურსო მასალების ჩაბარება და სარეგისტრაციო კოდის მინიჭება წარმოებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტში, მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77;

ე) კონკურსის ჟიური იმუშავებს 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით;

ვ) შედეგები გამოცხადდება 2024 წლის 22 მარტს, 14:00 საათზე;

ზ) საკონკურსო პროექტების გამოფენა გაიხსნება 2024 წლის 22 მარტს, 10:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მე-III სართულის ფოიეში.

5. საკონკურსო მასალების წარდგენის წესი:

ა) საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს მსუბუქი მასალისგან დამზადებულ A2 ვერტიკალურ პლანშეტზე ნაბეჭდი პროექტის სახით;

ბ) კონკურსის ყველა მონაწილემ საკონკურსო წინადადება ასევე უნდა წარმოადგინოს ელექტრონულ ვერსიაში (CD/DVD);

გ) საკონკურსო წინადადებას აუცილებლად უნდა ახლდეს ამობეჭდილი განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმატი, N 12 შრიფტი), რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ესკიზის კონცეფცია, ასევე, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა მასალაში შესრულების შემთხვევაში.

6. საკონკურსო ჟიურის საქმიანობის წესი:

ა) ჟიურის საქმიანობის ორგანიზებას უზრუნველყოფს კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც ახორციელებს:

საკონკურსო მასალების მიღება-დაბრუნებას;

მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენას;

საკონკურსო ჟიურის ოქმების შედგენას;

კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური საკითხების წარმართვას.

ბ) კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი საკონკურსო მასალების შეფასებისას სარგებლობს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით და არ არის საკონკურსო ჟიურის წევრი;
გ) კონკურსის ჟიურის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ჟიურის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
დ) გამარჯვებულად ცხადდება ის საკონკურსო წინადადება, რომელიც ყველაზე მაღალ შეფასებას დაიმსახურებს;
ე) კონკურსის ჟიური, კონკურსის მსვლელობისას მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს ოქმის სახით, მათ შორის, საბოლოო გადაწყვეტილებას. ოქმის ასლები შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა ნებისმიერ მსურველს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ვ) საკონკურსო ჟიურის წევრებს, მათ შორის, კონკურსის პასუხისმგებელ მდივანს, მოწვეულ ექსპერტებს უფლება არ აქვთ, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად მიიღონ მონაწილეობა საკონკურსო პროექტების შემუშავებაში და ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის აცილება;
ზ) კონკურსი ჩაითვლება შემდგარად თუ წარდგენილი პროექტების რაოდენობა იქნება მინიმუმ 5 (ხუთი).

7. დამატებითი პირობები:

ა) საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ი უნივერსიტეტს ნებას რთავს გასცეს რეკომენდაცია, მისივე მონაწილეობით, გამარჯვებულად გამოვლენილ წინადადებაში რაიმე ტიპის ცვლილების შეტანის თაობაზე;
ბ) კონკურსში გამარჯვებული წინადადების ავტორ(ებ)ი უნივერსიტეტს გადასცემს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.

8. საკონკურსო ჟიური კონკურსში გამოავლენს ერთ საუკეთესო პროექტს, რომელსაც ჯილდოს სახით გადასცემს 2000 (ორიათასი) ლარს.

9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის სამოქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით